გაზეთის ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის და კაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 29 იანვარს,

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

## ვ. ლ. გ უ ნ ი ა ს ი

ვლ. ალექსიევ-მესხიევისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

## დ ა - ძ მ ა

ორიგინალური დრამა 5 მოქ. მეგრელთ წარსულ ცხოვრებიდან ვ. გუნიასი

მოქმედება სწარმოებს სამეგრელოში მე XVII საუკუნის დამლევს

მეხუთე მოქმედების პირველს სურათში ბ-ნ რატილის ქართული ხორო შეასრულებს შემდეგ სიმღერებს: „სიმღერა სასიკვდილოდ განწირულთა“, „სიმღერა მხედართა“, „სიმღერა გმირთა“ და ბოლოს იგალობებს „ლოცვას“

„ამ პიესისათვის შეკერილია ახალი მდიდრული ისტორიული ტანისამოსი“

II

დასასრულ პირველადვე ახალი პიესა

## ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან!

ვოდევ.-ხუმრობა 1 მოქმედ. ვალ. გუნიასი

მოქმედება სწარმოებს ტფილისში, სოლოლაკის ქუჩაზე

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა ტარიელოვისა, აგიაშვილისა; ბ-ნნი: ალექსიევ-მესხიევი, ყიფიანი, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, კიკნაძე, ადამიძე, იანქოშვილი, გუნია და სხვა.

შეგირდებისათვის კუპონები ლოჟაში 50 კ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ.


## ქ. ოზურგეთში

**ესმა გიორგის ასული ქიქოძე**, რომელსაც **ტფილისის სახელოსნო გამგეობისაგან** თავის ხელობის რიგიანად ცოდნის შესახებ ატესტატი აქვს, მსურველთ ასწავლის ჭრა-კერვასა და ყოველსავე ხელობას, რაც-კი ქალის ტანისამოსის შეკერვას შეეხება. შეგირდებს იღებს **სამის თთვის ვადით** იმ პირობით, რომ ზემოთქმული ხელობა ამ ხნის განმავლობაში სრულიად დაასწავლოს. სასყიდლად სამისავე თთვისათვის მხოლოდ **ოცს** მანეთს სჯერდება.

ამასთანავე შესაძლოა ქალის ტანისამოსის შესაკერავად მასვე მიჰმართონ. ყოველსავე შეკვეთას ზომიერ ფასად და დროზე ასრულებს. (6—1)

**წიგნების გამომცემ ქართველთა ამხანაგობის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ ამხანაგობის აგენტებად დანიშნულნი არიან: ბაქოში ბ. ივანე რატიშვილი (მასწავლებელი), ახალქალაქში ბ. პარმენ ჯავროვი და ახალ-სენაკში ბ. ბესარიონ მიქაძე.. (3—1)

## კბილის ექიმი

## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—13)


## ახალი ამბავი

*** გუშინ, 27 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სააპელაციო განყოფილებამ გაარჩია საქმე ნადვორნი სოვეტნიკის გრიგოლ ივანეს ძის იზმიროვისა, რომელსაც მომრიგებელმა სასამართლომ ოც-დახუთი მან. ჯარიმა მიუსაჯა და, თუ ამ ფულის გადახდა ვერ შეიძლოს, ხუთის დღით საპატიმროში იქმნას დამწყვდეული.—ეს საქმე, როგორც ჩვენს მკითხველებსაც ეხსომებათ *), იმაში მდგომარეობს, რომ ბ-ნმა გ. ი. იზმიროვმა არ ისურვა რუსულად დაფიცება, როდესაც ოლქის სასამართლოში იყო მიწვეული მოწმედ. გუშინ იზმიროვმა განაცხადა, რომ რადგან ეს საქმე სენატშია წასული, გთხოვთ, რომ გადასდოთ დრომდეო. თავმჯდომარემ მაინც სთხოვა, თქვენი აზრი სთქვით, უკანონოდ რად მიგაჩნიათ მომრიგებელ სასამართლოს განაჩენიო. ბ-ნმა იზმიროვმა კარგა ხანს ილაპარაკა, ამტკიცებდა, რომ კანონი ნებას არავის აძლევს ძალათი ფიცი რუსულს ენაზედ მიმაღებინოსო. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ მარტო რუსული ვიცოდე და ჩემი სამშობლო ენა—სომხური-კი არაო. ამ ორს სარწმუნოებას შორის გარჩევა არისო. მაგალითებრ, ჩვენ მარცხენიდგან მარჯვნივ გადავგვაქვს ხელი პირჯვრის წერის დროს, ჩვენს ჯვარცმულს ქრისტეს ეკლებიანი გვირგვინი ადგას, ამას გარდა, ჩვენს ჯვარცმაზედ იესო ქრისტეს ორივე ფეხი ერთის ლურსმნითა აქვს დალურსმული და არა ორის ლურსმნით, თითოეული ფეხი ცალკე, როგორც მართლ-მადიდებელთა—და სხ. ყოველივე ესა და, ამას გარდა, ისიც, რომ კანონში არსად არის ნათქვამი, რომ თავმჯდომარეს უფლება ჰქონდეს მინიჭებული—სხვა ენაზედ მიმაღებინოს ფიცი, უფლებას მაძლევდა უარი მეთქვაო.

სასამართლომ მომრიგებელ-მოსამართლეს განაჩენი დაამტკიცა. ბ-ნი იზმიროვი არ დასთანხმდა ამ გარდაწყვეტილებას და ორის კვირის ვადა მიეცა, რომ ეს საჩივარი განაახლოს, სადაც ჯერ არს.

*) იხ. „ივერია“ 1891 წ., № 147.

*** ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ამ ჟამად იმ უთანხმოების განხილვას შეუდგა, რომელიც სურამის გზის მოიჯარადრე ბეჰკროვნისა და მუშებს შორის მოხდა. ამ საქმის გამოსარკვევად ვიცე-გუბერნატორს მიუმართავს ინჟენერ რიძევსკისთვის.

*** ხვალ, ოთხშაბათს, ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი თეატრის ადმინისტრატორისა და არტისტის ვ. გუნიასი, რომელსაც ათი წელიწადი უსრულდება სცენაზედ მოღვაწეობისა. განსაკუთრებით საყურადღებო იმითია ეს დღე, რომ წარმოსადგენად დანიშნულია თვით მობენეფისესივე ახალი პიესები, ხუთ მოქმედებანი ორიგინალური დრამა მეგრელთა წარსულ ცხოვრებიდგან „და-ძმა“ და მისივე ვოდევილი „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან“. როგორც ამას წინად ჩვენს გაზეთშიაც იყო მოხსენებული, პირველი—„და-ძმა“ დრამატიულმა კომიტეტმა განიხილა და მოიწონა კიდეც. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი და ყიფიანი.

*** 24 ამ თთვისას, საღამოს 8 სიათზე, რკინის გზის სადგურს „განჯაში“ შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა. კონდუქტორი, გვარად კონდრატიევი, 26 წლისა, თავისს სადგომს სცლიდა და ბარგი მეორე ოთახში გადაჰქონდა, ლიანდაგს გადაღმა. ერთს გზობას, როდესაც მხარზე საკერავი მაშინა ედგა და ლიანდაგს გადადიოდა, წამოასწრო მოვარჯიშე ორთქლმავალმა, ქვეშ მოიტანა, მარჯვენა ფეხი მუხლში მოჰკვეთა და გულიც დაუჩეჩქვა. საბრალო კონდრატიევი მაშინვე ტფილისში გამოგზავნეს საავადმყოფოში დასაწონად, მაგრამ უბედურმა ვეღარ მოაღწია აქამდე და გზაშივე დალია სული. გვამი გარდაცვალებულისა რკინის გზის ქსენონის საანატომიო თეატრში გაგზავნეს. კონდრატიევს მოხუცებული მშობლები და ახალგაზდა ცოლი დარჩა, რომელთაც მხოლოდ ეს უდროვოდ წუთ-სოფელს გამოსალმებული ასაზრდოვებდა.

*** 22 ამ თთვისასვე რკინის გზის სადგურს „ზაზალასა“ დ „განჯას“ შუა მიმავალის მატარებლის ერთი საქონლის ვაგონი გაძარცვეს. ქურდებმა წაიღეს 5 ცალად შეკრული ქსოვილი, უკანასკნელი 5,000 მანათის საღირალი. მეორე დღეს გზის ლიანდაგს აჰყვნენ დასათვალიერებლად და მხოლოდ ცალიერი ყუთები-ღა იპოვნეს. ქურდები ჯერ ვერ უპოვნიათ, თუმცა ფიცხელი გამოძიება სწარმოებს.

*** ტფილისის შეუძლებელ ებრაელთა დამხამრებელმა საზოგადოებამ კვირას, ამ თთვის 26, სამუსიკო „კრუჟოკ“-ის დარბაზში საღამო გაჰმართა თავის სასარგებლოდ. წარმოადგინეს სამ-მოქმედებიანი დრამა „Забубенная Головушка“ და ერთი ვოდევილიც. წარმოდგენაში სცენის მოყვარენი იღებდნენ მონაწილეობასა, მაგრამ მაინც მწყობრად ჩაიარა. წარმოდგენის შემდეგ ცეკვა გაიმართა, რომელმაც ნაშუაღამევის სამს საათამდე გასტანა: საზოგადოება საკმაოდ დაესწრო, თუმცა, შედარებით წარსულს წლებთან-კი, უფრო ნაკლები.

*** როგორც მკითხველსაც ეხსომება, „ქართულ წიგნების მბეჭდველი ამხანაგობა“ ჰბეჭდავს ამ ჟამად ილია ჭავჭავაძის ნაწერების პირველს ტომს. ნახევარი უკვე დაუბეჭდიათ. თებერვლის გასულს სულ მზად იქნება. სურათი ავტორისა პირველის ტომისათვის ამხანაგობას შეუკვეთნია პარიჟში და ისიც თებერვალში იქმნება დამზადებულიო.

*** გუშინ, ორშაბათს, სამხედრო ოლქის სასამართლომ დაიწყო გორში ტატე ჯიოშვილისა და მის ამხანაგების საქმის გარჩევა.

*** რადგანაც გადაწყდა, რომ ძველის ენების სწავლების წესი უნდა შეიცვალოს და გრამატიკის ბატონობა ლათინურისა და ბერძნულის სწავლებაში გაუქმდეს, ამიტომ საჭირო ახალის პროგრა მების შედგენა და შეცვლა იმ მასალისა, რასაც დღემდე აკითხებდნენ შეგირდებს. ყველა ეს საქმე მიენდო ცალკე კომისიას, რომელიც საერო განათლების სამინისტრომ შეადგინა.

*** ამ თთვის 30, როგორც შევიტყეთ, ბაქოში ჰმართავს იქაური ქართველი საზოგადოება „ქართულს საღამოს“.

*** ჩვენ მოგვივიდა ქ-ნ ქეთევან ლუარსაბის ასულის ჟურულისაგან ცხინვალში შეგროვილი 27 მანათი ალ. ყაზბეგის სასარგებლოდ. ამ ფულისა იყო დღემდე 381 მან. 20 კაპ. ამითი შესდგა 408 მან. 8 კაპ. შემომწირველთა სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

*** კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველს ბ-ნს იანოვსკის მოუწონებია ქართულის წერის დედანი, შედგენილი ბ-ნ ს. დათეშიძის მიერ, რომელიც ამ ჟამად ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაშია მასწავლებლად. ეს მოწონება ბ-ნ მზრუნველის ქაღალდში ასეა გამოთქმული: „одобрена въ качествѣ пособія для грузинскихъ начальныхъ школъ“.

*** ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ წარსულს შემოდგომას ტფილისში ერთი ახალი კლუბი კიდევ დაარსდა—„სამუსიკო კრუჟოკი“. თავისის წეს-რიგითა დ მიმართულებით ამ „კრუჟოკმა“ ამ მოკლეს ხანში ჯეროვანი ყურადღება მიიქცია ჩვენის საზოგადოებისა და კვირაში ერთხელ, შაბათ საღამოზედ ბლომა ხალხი ესწრება. ყველაზედ უფრო საქებური ის წესია ამ კლუბში, რომ ბანქოს თამაში სრულიად აღკრძალულია; სამაგიეროდ სხვა-და-სხვა ხელოვნებას ფართო და საპატიო ადგილი უჭირავს აქ: თეატრი, მუსიკა პირველი საგანია აქაურის დროს გატარებისა. ქრისტეშობისთვეში რომ დიდი საღამო იყო გამართული, კავკასიის მთავარ-მართებელის თანაშემწე გრაფი ტატიშჩევიც ბრძანდებოდა სტუმრად და იმ საღამოსვე გამოაცხადა სურვილი „კრუჟოკ“-ის წევრობისა. „კრუჟოკ“-ის საბჭომ იმ ხანებშივე საპატიო წევრად ჩარიცხა გრაფი ტატიშჩევი.

გუშინ-წინ, კვირას, „კრუჟოკ“-ის საბჭომა და დეპუტატებმა თვით მთავარ-მართებელს, გენერალ-ადიუტანტს შერემეტევს, მიართვეს საპატიო წევრობის დიპლომი. ბ-ნმა მთავარ-მართებელმა სიამოვნებით მიიღო ეს სახელი და თანაც გამოუცხადა დეპუტაციას, რომ სულითა და გულით ვისურვებ ამ ახალის და სიმპატიურის დაწესებულების დღეგრძელობას და კეთილად წარმატებასაო, განსაკუთრებით სამუსიკო სასწავლებელისასაო, რომელიც საზოგადოებამ ამ თავითვე გაჰმართა და რომელიც მოქმედობს ახალგაზდა მმართველის, ამ სასწავლებლის დირექტორის, ბ-ნის პრესმანის ხელში. ამასთანავე ბ-ნმა მთავარ-მართებელმა ყოველივე დახმარება აღუთქვა დეპუტაციას თავისის მხრით.

*** სომეხთა კონსისტორიას ერთის ინჟენერისთვის დაუვალებია პრო-

ექტის შედგენა რკინის ხიდისა, რომელიც ვანქის გალავანიდამ უნდა გაკეთდეს მტკვრამდე.

*** კვირას, ამ თთვის 26, სომეხთა ეკლესიებში ამოირჩიეს სამ-სამი დეპუტატი თითო ეკლესიაში ეჩმიაძინის პატრიარქ-კათალიკოსის ამოსარჩევად. სულ 13 ეკლესიაში იყო დანიშნული დეპუტატების ამორჩევა, მაგრამ სურბ-გეურქის ეკკლესიაში უთანხმოება მოხდა და დეპუტატები ვერ ამოარჩიეს. დანარჩენს 12 ეკკლესიაში ამოირჩიეს 36 დეპუტატი. ქალაქ ტფილისიდგან სულ 69 დეპუტატი უნდა წავიდეს ეჩმიაძინში და პროვინციებიდგანაც კიდევ 15 დეპუტატი.

*** გაზაფხულზე, როგორც ამბობენ, ტფილისიდგან ყარსამდე რკინის გზის გასაყვანად ადგილების დათვალიერებას დაიწყებენ.

*** ამერიკელი ელჩი ბ-ნი ჩემბერსი გუშინ ტფილისიდგან ბათუმს გაემგზავრა.

*** თიანეთის მაზრაში, დიდ-სოფელში შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა. ამ სოფლის მცხოვრებნი დაოშვილი და გიორგი ცუნგარაშვილი დუქანში ღვინოსა სვამდნენ. დაოშვილმა რაღაც იოხუნჯა და ცუნგურაშვილმა მისი ოხუნჯობა დაცინვად მიიღო. ნასვამმა ცუნგურაშვილმა ხუმრობა ვერ აიტანა და ხანჯლით თავში დასჭრა დაოშვილი. ცუნგურაშვილი და დაოშვილი დიდის ხნის მეგობრები ყოფილან და ძლიერ ჰყვარებიათ ერთმანეთი. მეორე დღეს ცუნგურაშვილს არაფერი არ ახსოვდა და უკვირდა, საპატიმროში რათა ვარ ჩამწყვდეულიო. როცა უთხრეს, გუშინ შენი ამხანაგი მოჰკალიო, ჯერ არა სჯეროდა. შემდეგ, როცა დარწმუნდა, ჩემი ამხანაგი მომიკლავსო, დარდს მიეცა და არეული ლაპარაკი დაიწყო. საექვოა, რომ ჭკუაზედ შემლას გადარჩეს.

*** ტფილისის სახელმწიფო თეატრის დირექტორს ვენ. ერნსტს შემდეგი მოხსენება წარუდგენია კავკასიის მთავრობისთვის: ა) თეატრს იჯარით ნულარ მივცემთ კერძო ანტრეპრენიორებს; ბ) თეატრის დირექციას დავავალოთ, რომ 1892 წლის 1 მაისიდგან 1893 წლის 1 სექტემბრამდე წარმოდგენები გაჰმართოს; ამი თვის საჭირო ფული გადიდოს 1893 წლის სუბსიდიიდგან და გ) 1893 წლის 1 სექტემბრიდგან რუსული ოპერა დააარსოს, რისთვისაც 30 ათასი მანათი იქმნას გადადებულიო.

*** ტფილისის 1 გიმნაზიაში ამიერიდგან 65 სახელმწიფო სტიპენდია იქნება. აქედგან 30 სტიპენდია ტფილისის გუბერნიის დამსახურებულ თავადთა და აზნაურთა შვილებისთვის; 20—დამსახურებულ რუს მოხელეთა შვილებისათვის და 15 მაჰმადიანთა და სომეხთა მაღალ წოდებისა და დამსახურებულ მოხელეთა შვილებისათვის.

ქუთაისის გიმნაზიაში 60 სტიპენდია იქნება. აქედგან 50—ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შვილებისათვის და დანარჩენი 10—რუსთა დამსახურებულ მოხელეთა შვილებისათვის. ამას გარდა, კავკასიის სხვა სკოლებისთვის კიდევ 48 სახელმწიფო სტიპენდიაა, რომელიც ასეა განაწილებული: ტფილისს—11, ქუთაისს—5, სტავროპოლს—4; რეალურს სასწავლებლებს: ბაქოს—6, კავკავს—8, შურას—10 და ნალჩიკის მთიელთა სკოლისათვის—4.

*** გაზეთი „კავკაზ“-ი ამბობს, რომ საერო განათლების მინისტრის განკარგულებით ტფილისის ექვს-კლასიანი პროგიმნაზია სრულ გიმნაზიად უნდა იქმნას გადაკეთებულიო. ეს განკარგულება ამ წლის 1 ივლისს იქნება აღსრულებაში მოყვანილი. მეშვიდე და მერვე კლასის ხარჯითვით სასწავლებელმა უნდა იკისროს. მომავალი ტფილისის მესამე გიმნაზია ჯერ ახალი სასწავლებელია, დაარსდა 1885 წელს ოთხკლასიან პროგიმნაზიად. 1890 წელს კიდევ ორი კლასი მოემატა.

*** იგივე გაზეთი ამბობს: გენერალ ლეიტენანტმა ანნენკოვმა აუწყა კავკასიის მთავარ-მართებელს, რომ საერო მუშაობის განსაკუთრებულმა საბჭომ გადასწყვიტა, ნოვოროსიისკსა და სოხუმს შუა ახალი გზატკეცილი გაიყვანოს. ამ გზაზედ სამუშაოდ გამოგზავნილნი იქნებიან მუშები დამშეულ გუბერნიებიდგან. სამუშაოების გამგედ დანიშნული იქნება გენერალ-ლეიტენანტი ზეზემანი.

*** 25 იანვარს, ოლგას ქუჩაზე, კარაპეტ გევენოვ-ს ფეხსაცმელის ქარხნიდამ იქვე მომუშავე განჯის მაზრის მცხოვრებელმა სარქის მანაიანცმა მოიპარა ფულად 43 მან. და ფეხსაცმელის მასალა. დამნაშავე შეიპყრეს.

*** ამავე დღეს, ბულვარზე, მურადოვის საკანდიტეროში სიმთვრალის დროს შევიდნენ სახელმწიფო პალატის მოხელენი ივანე მიხაილოვი, პეტრე ადამოვი და კოტოვი. მიხაილოვმა აიღო ხანჯალი და მურადოვს მუქარით უთხრა—ეხლავ მოგკლავ, თუ ფულს არ მასესხებო. მილეწ-მოლეწა, იქ ახლომახლო რაც შეხვდა, და წამოსვლა დააპირეს, მაგრამ მალე მიუსწრო პოლიციელმა და ხანჯალი წაართვა. დამნაშავეთ ოქმი შეუდგინეს.

*** 25 იანვარს, პოლიციის პირველს ნაწილში, იოსებ წამალაშვილის სახლში ექვსის წლის ქალმა ნინომ ადუღებული წყალი გადაისხა და გული და ორივ ხელები დაიწვა. ბავშვი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

## მთავრობის განკარგულებანი.

20 იანვარს 1892 წელს.

ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიის საქმეთა გამგეს თანაშემწეს მოადგილე კოლლეჟსკი სეკრეტარი ოცხელოვი დამტკიცებულ იქმნა ამავე თანამდებობაზე.

უმართებულესის სენატის 1891 წლის 20 სექტემბრის განკარგულებით კოლლეჟსკი ასსესორს ფილიპე ცისკარაშვილს ებოძა ნადვორნი სოვეტნიკობა; თელავის ციხის ზედამხედველს ტიტულიარნი სოვეტნიკს ვასილ ხახუტაშვილს—კოლლეჟსკი ასსესორობა, გუბერნსკი სეკრეტარს გიორგი ბორისაშვილს—კოლლეჟსკი სეკრეტრობა, კოლლეჟსკი რეგისტრატორებს: თავ. ნოდარ ჯორჯაძეს, ნიკოლოზ ჩიკოიძეს, ალექსანდრე ყორღანოვს ესტატე სააკოვს და თავ. ვალენტინ ჯავახიძეს ებოძათ გუბერნსკი სეკრეტრობა.

## წლიური კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა

(26 იანვარს)

კრებას უნდა განეხილა შემდეგი საგნები: ა) ანგარიში „საზოგადოების“ მოქმედებისა წარსულს წელს; ბ) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა ამ 1892 წლისა; გ) გამგეობის წევრთა არჩევა და დ) არჩევა საზოგადოების ახალ წევრთა.

ვიდრე საგნების განხილვას შეუდგებოდნენ, თავმჯდომარემ გამოუცხადა კრებას, საანგარიშო წლის განმავლობაში გარდაიცვალნენ—საპატიო წევრნი საზოგადოებისა დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი და გრიგოლ გურიელი, წევრნი დამფუძნებელნი: მიხეილ ყიფიანი, მამია გურიელი და ნამდვილი წევრი საზოგადოებისა ელენე ლორთქიფანიძისაო და სთხოვა საზოგადოებას, ფეხზე წამოდგომით ეცათ პატივი გარდაცვალებულთათვის. კრება ფეხზე წამოდგა.

წარსულის წლის ანგარიშის წაკითხვის შემდეგ ზოგი დამსწრეთაგანი დაეკითხა გამგეობას, აგვიხსენით, რა ვითარებაშია ამ ჟამად საქმე დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკისა, რომელიც მისმა მემკვიდრეებმა ჩვენს საზოგადოებას შემოსწირესო. გამგეობამ უპასუხა, პროფესორი ცაგარელი კატალოგს ადგენს ხსენებულის ბიბლიოთეკისას და, როდესაც დაამთავრებს საქმეს, ბიბლიოთეკა ტფილისში გამოიგზავნებაო. ამ საგანმა ლაპარაკი გამოიწვია იმის შესახებაც, რომ „საზოგადოებამ“ ცალკე შენობა შეიძინოს ბიბლიოთეკისათვის. აღმოჩნდა, რომ საზოგადოებას უკვე განუზრახავს მიმართოს ერთს შეძლებულს მამულის-მოყვარე ქართველს კაცს და სთხოვოს ადგილი ხსენებულის შენობის ასაგებად.

წევრმა საზოგადოებისამ რ. ჯაჯანაშვილმა შეჰნიშნა: ამ ჟამად თავის სკოლების სარევიზიოდ საზოგადოება სხვა-და-სხვა კაცსა ჰგზავნის ხოლმე და ამის გამო ერთი უხერხულება ჩნდება, რევიზორს ვერ შეუძლიან გაიგოს შარშანდელს აქეთ სკოლის საქმე გაუმჯობესდა, თუ უკან წავიდაო, საჭიროა „საზოგადოებამ“ ერთი კაცი იყოლიოს ჯამაგირით მუდმივად თავის სკოლების რევიზორადა და გამგედაო. კრებამაც და გამგეობამაც მოიწონა ეს აზრი, მაგრამ განაცხადა-კი, რადგან ამ ჟამად იმოდენად წელი ვერ შეგვწევს, რომ რევიზორისთვის ჯამაგირი ვიხადოთ, ამიტომ ჯერ-ჯერობით, თუმცა ძლიერ სასურველია, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხებთ მაგ საქმესაო. ბ-ნმა მ. მაჩაბელმა მოახსენა გამგეობას: როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, სოფლებზე ბევრი ფულია სკოლებისა დარჩენილი და რატომ არა ღონობთ, რომ აკრიბოთ დარჩენილი ვალებიო. გამგეობამ ეს საგანი ასე განმარტა: საზოგადოებას ძალ-დატანებით არ შეუძლიან სოფელს სკოლის ფული გამოართვას და უფრო ადმინისტრაციის გარჯაზეა დამოკიდებული საქმეო.. ბ-ნმა რ. ჯაჯანაშვილმავე სთქვა, აპირობს თუ არა „საზოგადოება“ ქობულეთში სკოლის დაარსებას მაჰმადიან ქართველებისათვისაო. გამგეობამ ამ საგანზედაც თითქმის იგივე პასუხი მისცა, რაც ზემოხსენებულს საგანზე—ჩვენ შეძლება არა გვაქვს, რომ ჩვენის ხარჯით გავმართოთ სკოლა ქობულეთში და თითონ სოფელი-კი შეუძლებლობისა თუ სხვა მიზეზისა გამო ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებს სასკოლოდ ფულის გაღებასაო.

# ფელეტონი

### სიმონა

(მოთხრობა გლეხ-კაცობის ცხოვრებისა)

XI

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 18)

ოც-და-სამი აპრილი სოფელს წაბლისერში დიდი დღესასწაულია—„გიორგობა“. აუარებელი ქალი და კაცი მოიყრის თავს გიორგობის წინღამით წმინდა გიორგის ეკკლესიაზე „ღამის სათევად“. დილამდე ისმის სიმღერა, დავლი-დაირა, ცეკვა, თამაში. რაც გინდა ღარიბი იყოს წაბლისერელი კაცი, გიორგობას მაინც „დაუთრობელს“ არ გაუშვებს თავისს სტუმრებს. სადილიდგან დაწყებული მეორე დილამდე ისმის წაბლისერში თითქმის ყველა მოსახლისას „ჟამიერუმ“ და „დალიე-დამილიე“.

დავით დროიძისას, რა თქმა უნდა, დიდი ლხინი იმართებოდა ყოველს გიორგობას. ხარის დაუკვლელად არც ერთს გიორგობას არ გაუშვებდნენ. დავითის ყველა შვილები საგიორგობოდ შინ იყრიდნენ თავს. იმ წელსაც, რომელზედაც მე ლაპარაკი მაქვს, საგიორგობოდ დავითის შვილები ყველანი შინ იყვნენ მოსულნი. ღარიბი მეზობლები მიდიოდნენ დავითსას და სიხარულით ეგზავნებოდნენ დავითს და მისს შვილებს—ვინ პურისთვის, ვინ ღვინისთვის და ვინც სად დასჭირდებოდათ. ისინი შესტრფოდნენ დავითის ვაჟებს, რომლებიც ძვირფასის ტან-საცმელებით იყვნენ მორთ-ულნი. მეტადრე დიდი ყურადღება მიიქცია სოფელს წაბლისერში დავითის ერთმა ვაჟმა, ტიტიკომ, რომელსაც „პრაპორშჩიკის“ „პაგონები“ ეკერა მხრებზედ. წაბლისერში თავისს დღეში არა ყოფილა ოფიცერი. მართალია, უნახავთ-კი სამხედრო კაცები ქალაქში და სოფლის კანცელარიაზე, მაგრამ ეგ სხვაა და თვითონ სოფელში რომ ეყოლებათ თავისივე სოფლის შვილი, ის კიდევ სხვაა. ამასთან ტიტიკო ლამაზი ყმაწვილიც იყო. ნამეტურ ქალები საიდან სად არ მოდიოდნენ ტიტიკოს სანახავად. ამ „სანახავად“ მოსვლამ ბევრს მანდილოსანს ცუდი ხმაც დაუგდო, მაგრამ ამისი დარდი აღარავის ჰქონდა. იმ ხანად, რაც ბავშვი დაიბადა წაბლისერში, ვაჟებს ყველას ტიტიკო დაარქვეს მშობლებმა. საღამოობით ტიტიკო შეჯდებოდა თავისს ოქროს ფერს ბედაურზე და წავიდოდა სასეირნოდ. ამ გვარი სეირნობაც პირველად ჰნახეს წაბლისერელებმა და ამას შემდეგ ბევრმა აქაურმა აზნაურის ოჯახმა შემოიღო საღამოობით ცხენით სეირნობა.

— დედავ, დედავ, რა ლამაზია, какая красавица! სანეხვეზე ვარდი ამოვაო, რომ იტყვიან, აბა ეს არის! Я, братъ, очарованъ! Это сельская Венера! აღტაცებით შეილაპარაკა ერთს საღამოს სეირნობიდან დაბრუნებულმა ტიტიკომ თავისს ოთახში, სადაც ერთი თავისი ძმათაგანი დაუხვდა.

— რა იქნა, რა ნახე ასეთი? სიცილით ჰკითხა ძმამ.

— აი ის, ძალაძისა, ჩვენი მეზობელი გლეხის ცოლი. უპასუხა აღტაცებულმა ტიტიკომ.

— ვერ გავიგე, ვინ ძალაძისა?

— აი, მამა რომ ამბობდა გლეხს ძალაძეს, მაშენიკი იყო, შემეშინდა, ჩვენც არა გვავნოს რამე და „тюрьма“-ში ჩავასმევინეო, იმისი ცოლი.

— ჰოო, მივხთი, ქეთევანას რძალი, დარიკო. იმის გულისთვის სხვებსაც ბევრს ადგება ყელზე ნერწყვი. მეც ბევრი ვსდიე, მარა, არ იქნა, ვერას გავხთი. იმისთანა უკარება, ჯიუტი და გულ-გაუხსნელი არ მინახავს ჩემს დღეში!

— Что ты говоришь? რას ვერ გავხთიო! ქალი მოვინდომო და ვერას გავხთე! გინდა ჩვენს თავადებში საუკეთესო ქალი შევაცთინო, თორემ ეს ვინ არის, ერთი ღატაკი გლეხის ცოლი! ნებით არ იზამს, ძალა აქნევინებს. Нѣтъ, братъ, ჩვენ, აფიცრებს, ასე არ გვიწერია კანონში: მოგვეწონა ქალი, кончено дѣло, ჩვენია!

— იქაურის რა მოგახსენო, არ ვიცი და აქ, ქეთევანას რძალთან, ნებით ვერას გახთები და ძალით, არ გახსოვს ქეთევანა თოფით რომ დასდევდა ვაჟკაცებს და აშინებდა? მართალია, მოუკლდა ღონეს, მაგრამ ამისთანაობით მაინც ვერავინ შებედავს. იცი, მამა ჩვენს ეშინია ქეთევანასი,— სიმონას საქმეში მე ბრალი არა მაქო, ეფიცება, როცა ნახავს.

— Какой чортъ, ქეთევანამ უნდა შემაშინოს! Вотъ скандалъ, ამდენი კაცი ერთს დედაბერს შეუშინებია! კაცო, ძალა თქვენ გაქვს, ფული თქვენ გაქვს და მაინც-კი ერთი დასნეულებული დედაბრის უნდა გეშინოდენ და ცრუობა უნდა იფიცოთ მისი სიშით! Вотъ не образованный народъ! არ გესმით ცხოვრება! რა ოხრად გინდათ ის შეძლება და ფულები, თუ-კი დედაბერიც თქვენ შეგაშინებთ! ის-კი არა, კრინტის დაძვრას ვერ უნდა გიბედავდნენ მეზობლები, მაგრამ რომ არაფელი გესმით!

— შე დალოცვილო, არ გვესმის! არ გვესმის, კარგი, დაგიჯეროთ. მაგრამ ეს ყველამ უნდა იცოდეს, რომ კაცს რომ გააძალლებ, გიკბენს. ვინ იცის, ჩვენი ცხენის ქურდობაში დანაშაული იყო, თუ არა, მაგრამ ჩვენ მაინცა და მაინც დანაშაულობა დავატეხეთ; დავატეხეთ იმიტომ, რომ შეგვეძლო საქმე კარგად წაგვეყვანა. მას ადვოკატიც არ ჰყოლია სიღარიბის გამო. ვინ იცის მეთქი, ვამბობ, ეგება ალალმართალი კაცი სამ წელზე მეტს ტყუილა დავალპეთ სატუსაღოში. ახლა იყო და მამა ჩვენმა—ცუდი თვალით გვიყურებს, დაგვწვავსო, აიყვანა და ქურდების „პრიგოვორში“ ჩააწერინა. დღესეც სატუსაღოში ზის. ამასაც აღარ დავაჯეროთ, შინ მივუხთეთ და ცოლი ძალით გავუპატიუროთ? მან რომ ველარაფერი გვაწყინოს, ქვეყანაა, ღმერთია, კაცმა რომ შეგვარჩინოს, ღმერთი არ შეგვარჩენს. მერე კიდევ იი ბიჭი, სიმონაი, იმისთანა შავი ჟამი ყაძახია, რომ ერთი თუ თავზე ხელი ეილო, ჩვენს ოჯახს დაუქცეველს არ მოარჩენს...

— იცი, ლევან,—გააწყვეტინა ძმას სიტყვა ტიტიკომ—სიმდიდრე და ძალა იმითია კარგი, რომ ყველა შენს წადილებს აისრულებ. თუ ჩემი წადილები არ ამისრულდება, ხალხი, დედაბერი, ვიღაც ბიჭი და ყველაი

შემდეგ წაკითხულ იქმნა სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვა მომავალის წლისა. შემოსავალი ნავარაუდევია 6560 მ., ხოლო გასავალი 6468 მ. ამ სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის თაობაზე ლაპარაკი თითქმის არა ყოფილა-რა; კრებამ მაშინვე დაამტკიცა.

ბოლოს მოხდა არჩევანები „საზოგადოებისა“ და გამგეობის ახალ წევრთა. ჯერ აირჩიეს წევრნი „საზოგადოებისა“ და შემდეგ გამგეობისა. საზოგადოების წევრად ახლად ჩაეწერა 39 კაცი; ამათს სიას შემდეგ დავბეჭდავთ. ამ 39 კაცის გარდა, წევრობის მსურველთა სიაში მოხსენებული იყო აგრეთვე ბ-ნი კალისტრატე ჩიკვაიძე, მაგრამ რადგან კანონიერი თავმდები—ან ორი დამფუძნებელი წევრი და ან 4 ნამდვილი წევრი—არავინ ამოუჩნდა კრებაში, ამიტომ წევრად არ იქნა არჩეული და ისევ კანდიდატად დარჩა. კრების სურვილისამებრ ახალი წევრნი საზოგადოებისა ყველანი კენჭის უყრელად მიიღეს. როცა ჯერი მიდგა გამგეობის წევრთა არჩევანებზე, მაშინ ხანგრძლივი კამათი გაიმართა შემდეგის საგნის თაობაზე. ზოგნი ამბობდნენ ახლად მიღებულს წევრთ „საზოგადოებისას“ ნებას ნუ მივცემთ წლეულს გამგეობის წევრთა არჩევანებში მონაწილეობისასაო. ზოგნი ამტკიცებდნენ, უკანონობა იქნება ჩვენის მხრით, რომ ახალ წევრთ ეგ უფლება ჩამოვართვათო. მომხრენი ახალ წევრთათვის საარჩევანო უფლების ჩამორთმევისა შემდეგის მოსაზრებით ასაბუთებდნენ თავიანთს სიტყვას: ჯერ რაკი ახლად მოდიან წევრებად, ჩვენის ,,საზოგადოების'' საქმეები შესწავლილი არა აქვთ და ამიტომ ვერც შეუძლიანთ დააფასონ, ვინ უფრო საჭირო და სასარგებლო კაცია ჩვენთვის და ვინ არაო. ერთმა დამსწრეთაგანმა ესეცკი სთქვა: ახალს წევრებს რომ პირველს კრებაზედვე მივცეთ ეგ უფლება, შეიძლება ვინმე არა-კეთილის მოსურნე მოვიდეს როდისმე, მოიყვანოს სამოციოდე კაცი, ჩასწეროს წევრებად, ჩაიგდოს ხელში ,,საზოგადოების'' სვე-ბედი და ისე მოიქცეს შემდეგ, როგორც თავისი ანგარებით სავსე გული უსურვებსო. კამათის გადასწყვეტად კენჭს მიჰმართეს. ძველმა წევრებმა საზოგადოებისამ უყარეს კენჭი, მივცეთ ახალს წევრებს გამგეობის წევრთა არჩევანებში მონაწილეობის უფლება, თუ არაო. კენჭის ყრამ ახალ წევრების სასარგებლოდ გადასწყვიტა საქმე.

გამგეობის წევრთა არჩევანი რომ დაიწყო, წევრებს საზოგადოებისას ბარათები დაურიგეს, რომელზედაც თითოს 12 კანდიდატი უნდა აღენიშნა წევრისა და ერთიც თავმჯდომარისა. ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარედ გამგეობისა ილია ჭავჭავაძე (19 ხმ.), წევრებად: ი. მაჩაბელი (36 ხმ.), ნ. ზ. ძე ცხვედაძე (35 ხმ.), ი. ს. გოგებაშვილი (34 ხმ.); დ. ფავლენიშვილი (29 ხმ.); უგანათლებულესი კნეინა პრასკოვია ვიტგენშტეინისა (28 ხმ.); ალ. ჭყონია (28 ხმ.); ალ. ჭიჭინაძე (27 ხმ.); ე. თაყაიშვილი (27 ხმ.); ან. თუმანიშვილი-წერეთლისა (27 ხმ.); თ. ზაქარია ერისთავი (24 ხმ.); გ. იოსელიანი (22 ხმ.) და მთვარელიშვილი (19 ხმ.). წევრების კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: მ. მაჩაბელი (14 ხმ.); პავ. ყიფიანი (13 ხმ.) და დ. კარიჭაშვილი (12 ხმ.).

## ხმა შორიდამ

(ჩვენთა მწერალთა საყურადღებოდ)

წარსულის წლის „ივერიის“ 225 №-ში საყურადღებო წერილი იყო ბ-ნის პ—სა „ჩვენს მწერლობაზე“. ავტორმა თავისს წერილში მიჰმართა ჩვენს მწერლებს და შეეკითხა, რას ჰფიქრობთ, რად გაჩუმებულხართ, რატომ არ უზიარებთ თქვენს აზრს მკითხველს საზოგადოებას და არ უფხიზლებთ გონებასაო.

„რას მოასწავებს სიჩუმე მწერალთა და მწერლობისა?! ნუ თუ ეს ახალი ხანა იმის მომასწავებელია, რომ ქართული მწერლობა ხელს იღებს საზოგადოების ხელმძღვანელობაზე, აღზრდაზე? მითხარით და ამიხსენით!“

ათავებდა ბ-ნი პ. თავისს წერილს.

მეგონა მიაქცევდნენ ამ წერილს ყურადღებას, . ვისიც ჯერ იყო, და ან თავს გაიმართლებდნენ, ან დაარღვევდნენ პ—ს ბრალდებას; მეგონა, თუ არც ერთი იქნებოდა, არც მეორე, პატივ-სადებ მიზეზებს მაინც დაასახელებდნენ თავის მოვალეობის შეუსრულებლობისას. მაგრამ მას აქეთ აგერ მესამე თთვე მიდის და ჯერ არავის არ ამოუღია ხმა იმ წერილის გამო. როგორც ჰხედავთ, თავისუფლად გადაჰყლაპეს ეს მწარე აბი ჩვენმა მწერლებმა, თითქოს აქ სრულიად არაფერი ამბავი იყოს, ან თითქო იმათი შესახები არა თქმულიყოს-რა. ვინ იცის, იქნება სულაც არ წაუკითხავთ ეს წერილი და იმიტომ ყურადღებაც არ მიაქციეს? შეიძლება ასეც იყოს. ხშირად გამიგონია, ბევრი მხოლოდ სახელისთვის იწერს გაზეთს, თორემ კითხვით-კი არ ჰკითხულობსო. ჩვენის აზრით, ერთადერთის გაზეთის არ კითხვა სხვას ყველას მიეტევება, კაცია და გუნებაო, მაგრამ ქართველი მწერალი-კი სწორედ ვერ წარმომიდგენია უიმისოდ, რომ საქართველოს ცხოვრება საინტერესოდ არ მიაჩნდეს და თვალყურს არ ადევნებდეს მის მიმდინარეობას. შესაძლოა, გაზეთი „ივერია“ ვერ აკმაყოფილებს მათს მოთხოვნილებას, არაფერს საზრდოს არ აძლევს მათს გულსა და გონებას, მაშინ აბა რას ჰკითხულობენ ქართულს ენაზედ? ნუ თუ არასფერს? მერე როგორ უთმენთ გული, რომ არ ცდილობენ, ან „ივერია“ განაკარგონ, ან ახალი ჟურნალი და გაზეთი გაიჩინონ? მაგრამ იქნება დაიღალნენ კიდევაცა და მოსვენებას მიეცნენ? იქნება ჰფიქრობენ, ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ და აწი სხვებმა იციანო.

როცა პ—ს წერილი წავიკითხე, ვიფიქრე ჩემს გუნებაში: აი სწორედ ეხლა ისვრის ბ-ნი პ. თავის ისარს ნიშანში ‍ღმერთმა ჰქნას, რომ ისარმან მისმან ფრთიანმან განგმიროს გაციებული და გაყინული გული მათი, ვისაც დაუტოვებია ზრუნვა ჩვენის მწერლობის განკარგებისა და აღორძინებისა-მეთქი. ამ დროსვე მომაგონდა უწინდელი წერილები ბ-ნის პ—სი, რომლებშიაც ბ-ნმა პ-მ დიდის „ზარითა და ზეიმით“ გამოილაშქრა ჩვენის ახალგაზდობის და განსაკუთრებით ჩვენის სტუდენტობის წინააღმდეგ. აი თქვე ასეთებო, თქვე ისეთებოვო, უკიჟინებდა ავტორი ახალგაზდობასა ‍სტუდენტებს,—მოჩიავდით გათახსირდით, აღარასფერს აკეთებთო; რატომ მაგალითს არ აიღებთ ძველის თაობისაგან, რომელმაც ამდენი რამ გააკეთა და დღესაც... დღეს რაღაა ბ-ნო პ.? დღეს ხომ, როგორც თქვენვე ამბობთ ამ თქვენს უკანასკნელს წერილში, ჩვენს მწერლობაში სრული სიჩუმე და მდუმარება სუფევს და თავს აღარავინ იტკივებს საზოგადო საქმისათვის, ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის, მოზარდის თაობის აღზრდისათვის. „აღარ არის ზრუნვა მწერლობის განმტკიცებაზე, მის სიმკვიდრეზეო“, გულის ტკივილით წუწუნებთ თქვენ, ბ-ნო პ. მაშ,აი, ბ-ნო, საიდამ უნდა დაგეწყოთ თქვენი ფილიპიკები, აი სად უნდა გეძებნათ იმისი მიზეზი, რომ ახალგაზდობა მოჩიავებულია, გათახსირებულია. თურმე მწერლობას ხელი აუღია „მათ ხელმძღვანელობაზე, მათ აღზრდაზე და რაღათ გიკვირთ, რომ ახალგაზდობა მოუმზადებელია დღეს სამოღვაწეოდ და გამოუსადეგარია სამშობლოსათვის?

აშკარაა, ჩვენის მწერლობის მოვალეობა იყო ამისთანა ძნელს დროში, როგორიც ეხლაა მოსწავლე ახალგაზდობისათვის, ღირსეული საზრდო მიეცა, რათა არ დაჩაგრულიყო მისი გონება სხვა-და-სხვა სამძიმო ვითარებისაგან. დიაღ, ბატონო, ის კი არ არის გასაკვირველი, თუ ეხლანდელი ახალ გაზდა ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, არამედ ის, თუ რომელსამე მათგანს მარტო თავისის ძალ-ღონით დაუძლევია ყველა ხელის შემშლელი გარემოება და კიდევ ახერხებს რისამე კეთებას. საკვირველია, რა მიგიციათ ახალგაზდობისათვის და რასა სთხოვთ? ერთი მიბრძანეთ, როდის აჩვენეთ გზა, რომელზედაც იმას უნდა ევლო, როდის უდექით მხარში და ამხნევებდით, როცა იგი ახალგაზდობა ებრძოდა აზვირთებულს, მასზედ მოსეულს ტალღებს, როდის აძლევდით იმედს უკეთესის მერმისისას? არა მიგიციათ-რა, ამაგი არა გაგიწევიათ-რა და, ბოდიშის მაგიერ, კიდევაც ზევიდამ დაჰყურებთ საბრალოს და ეუბნებით, არ ვარგიხარ, არ ვარგიხარო. მერე ვისი ბრალია, რომ არ ვარგა?! საბრალომ თვითონაც იცის, რომ არ ვარგა და თქვენ კიდევ, შემწეობის მაგიერ, უარესად უხეთქავთ გულს.

დამერწმუნეთ, საშინელი მრგომარეობაა ეხლანდელ მოსწავლე ახალგაზდას მდგომარეობა! ჯანითა და ღონით დასუსტებული, სრულიად დაქანცული ნამეტანის შრომით და ჯაფისა გიმნაზიაში, გონება განუვითარებელი, ზნეობა გაუმაგრებელი მოდის საბრალო საშუალო სასწავლებლიდამ მაღალ სასწავლებელში და მხოლოდ აქ, უცხო ქვეყანაში, ახელს თვალებს. ახელს, მაგრამ არ იცის, რა ჰქნას, რას მოჰკიდოს ხელი, რა ისწავლოს, რომ სარგებლობა მოუტანოს თავის სამშობლოს. ჩვენი მწერლობა ამ საქმეში არავითარს შემწეობას არ უწევს; ის-კი არა, იმის შესწავლაც-კი არ შეუძლიან, რა მდგომარეობაშია საქართველო, რა უჭირს? გაფაციცებით ელის ერთად ერთს ქართულს გაზეთს, ჰკითხულობს, მაგრამ, რაც იმას აწუხებს, იმის წამალს იქ ვერასა ჰპოვებს. დღეს ხვალ, დღეს ხვალ, დრო გადის და ახალგაზდაც ცხოვრებისთვის სრულიად მოუმზადებელი ბრუნდება სამშობლოში. აქ ესევიან მშობლები, ან ნათესავები და ეუბნებიან, არიქა, გვიშველე, შენი გულისთვის ყველაფერი ლამის ვალში გაგვეყიდოს და დაგვიხსენიო. ამასთან თუ უნცროსი

მე შემაშინებს, მაშინ რა ჯანაბად ვაქნევ სიმდიდრეს! თუ-კი ის ბიჭი, სიმონაია, თუ ვინცხა, ჩვენი ვნება შეუძლია, მოიშორეთ თავიდან—ან სულ დააკარგვინეთ და ან მოაკვლევინეთ. მაშ რათ გინდათ ის ფულები, თუ ეგეც არ შეგიძლიათ!

— შე კაი კაცო, დღეს ერთია ამისთანა სიმონაი, ხვალ ორი იქნება, ზეგ სამი და რა ვიცი, რამდენი დავაკარგვინოთ, ან მოვაკლევინოთ!

— რამდენი? რამდენიც საჭირო იყოს, იმდენი. არ იცი, რომ სიცოცხლე ბრძოლაა? ბურთი და მოედანი იმას რჩება, ვინც მძლავრია. სიმძლავრე, ანუ ძალა ეხლანდელ დროში ფულია. ეს ფული თქვენ საკმაოდ გაქვთ. აიღეთ და მოიხმარეთ, რის გეშინიათ! მაგრამ ამას ეხლა თავი დავანებოთ, ერთი ეს მითხარ, ნუ თუ ის ქალი უარს მეტყვის, ნუ თუ არ გაუხარდება მე რომ ის მომეწონა? მერე კიდევ აგერ ერთ წელზე მეტია თურმე, რომ ქმარი შინ არ ჰყოლია. Нѣтъ, не повѣрю, არ მეტყვის უარს, გაუხარდება კიდეც, ღმერთს მადლობასაც შესწირავს, რომ მე ის მომეწონა.

— გეტყობა ძალიან დაწვრილებით გამოგიკითხავს იმ ქალის ამბავი. სად ნახე, ან ვინ გითხრა ის არისო და მერე კიდე მისი ამბები?

— გზის პირში რომ წყაროა, იქ ვნახე. მერე ჩვენს ფეფიკოს გამოვკითხე—ფეფიკოც იქ იყო—და იმან მითხრა ყველაფერი.

— ჩემის ფიქრით, ნებით არ იზამს და ძალით არ ღირს. ისევ შენ იცი, შინჯე, თუ გინდა. ისევ იგივე ფეფიკო მოგიხერხებს, თუ რამ მოხერხდება. მაგრამ კიდევ ვიტყვი, არა მგონია.

— ის მე ვიცი. ერთი ფეფიკო დავიბარო. ამ სიტყვებით გამოვიდა და დაუძახა მოჯამაგირეს—ფეფიკო მომგვარეო.

— ცოტა ხანს შემდეგ მოვიდა ფეფიკოც, ქვრივი ერთის გლეხისა, რომელიც დროიძის სიახლოვეს ესახლა. ფეფიკო იყო შუა ხნის ქალი. ყმაწვილობისას, რადგანაც მშობლები ღარიბი ჰყავდა, სხვა-და-სხვა დიდკაცის ოჯახში ემსახურებოდა მოახლედ. მერე ქმარი შეირთო. მაგრამ ქმარი ადრე მოუკვდა და დარჩა ფეფიკო ქვრივად, ერთ მცირე-წლოვან ქალიშვილის ამარა ისეთს სიღარიბეში, რომ ზოგიერთი ადამიანი შესაძლებელია, ფეფიკოს ადგილას მათხოვრობასაც დაიწყებდა. მაგრამ ფეფიკო მოხერხებული დედაკაცი იყო: კიდევ დიდ-კაცობაში დადიოდა, სძლვნობდა და იმათგან საჩუქარს, წყალობას იღებდა; ხან საცოლო ყმაწვილის კაცის და გასათხოვარ ქალის შუა-მავალი იყო და აქაც გასამსჯელოს იღებდა; ხან ვინმე ავადმყოფს დაუწყებდა სამსახურს და, მოკვდებოდა, თუ მორჩებოდა ეს ავადმყოფი, ფეფიკო თავის ნამსახურს სადმეიდგან მაინც აართმევდა. ამასთან „ხელობაც“ — ჭრა-კერვა იცოდა და ცოტაოდენს იმითიც სარგებლობდა. ამ გვარის ცოდვილობით გამოზარდა თავისი ქალიშვილი, მოიყვანა ვიღაც უსახლ-კარო ბიჭი, შერთო და ჩაისახლა სიძე შინ. ფეფიკოს მეზობლებში ზოგიერთნი ამბობდნენ: „ფეფიკოს თავისს დროზე საყვარლები ჰყავდა; ფეფიკო თავისს ქალიშვილს, ქმრის შერთვამდისაც ურიგებდა ვიღაც-ვიღაცებს და ქმარი რომ შერთო, მერეც ურიგებსო, მაგრამ ამასთან ამასაც ამბობდნენ: —„ფეფიკო დიდ-კაცობაში გამოზდილია, სიტყვა-პასუხი და ზდილობა იცის“-ო. ამ ზრდილობისათვის მეზობლები პატივს სცემდნენ ფეფიკოს.

ტიტიკომ გაიყვანა ფეფიკო ცალკე და უთხრა:—იცი, ფეფიკო, რისთვის დაგიბარე? ერთი საქმე უნდა შემისრულო.

— თქვენ ბატონი და მე თქვენი მოახლე. ბედნიერი იქნება ფეფიკაი, თუ-კი რამე თქვენი სასიამოვნო შეიძლო—უპასუხა ფეფიკომ სიტყვამარჯვედ.

— დღეს რომ ქალი ვნახეთ, აი წყაროზე, შენ რომ მითხარი, ესა და ეს არისო, ის ქალი უნდა გამირიგო, უეჭველად... არა, უარი არ შეიძლება!.

— ვიცი, ბატონო, თქვენ უარი არ მოგეხსენება, მარა... ვაი, ძაღლმა შეჭამა ფეფიკაი, უნდა მოგახსენოთ, რომ შეუძლებელია. ქვიშის „საბელი“ (საბელი ბაწარი) რომ მიბძანოთ, შევიძლებ, მგონია და იმის შემძლე არ ვარ. ცოდვა გამჟღავნებული ჯობს, სამჯელ მივადექი იმ ერთს გლეხის გოგოს, გაუთხოვარი რომ იყო, მაშინაც, მერეც, მაგრამ არაფერი გამიხთა. იმ მზაკვავმა ქეთევანამ მაინც სულ თავისს ჭკუაზე გამოზარდა! თქვენ რომ მიბძანოთ, ზღვაში გადვიჭრები და იმ ქალთან ვერაფერის თქმას გავბედავ ამისთანაობაზე, დათხონილი ვყავარ.

— მაშ ეს არის, უარს მეუბნები, კარგი, გამაწბილე, თუ აღარ გინდა ჩვენი ოჯახი!

— ვაიმე, დალუპულს! რა ვქნა, რომ შეუძლებელი მიბძანეთ! მარა, გნებავთ, ენა მიმაჭარი, უნდა გითხრა: რა თქვენი საკადრისია მუნიანი ყაძახის ცოლი! სხვაი ვინმე, თქვენ რომ შეგეფერებოდეთ, იმისთანაი მიბძანეთ და, თუ ქალი ვარ, აგისრულებთ.

— არა, ეხლა სხვაი არ მინდა, ის რაღაც ჟინათ მაქვს ჩაჭრილი გულში. ან რა არის აქ შეუძლებელი? ჩემთვის უნდა ხელ-მიუწდომელი შეიქნეს ერთი ღატაკი გლეხის ცოლი! ჩემ მაგიერ სიტყვას მიუტან და ის უარს იტყვის? არა, ამას ვერ დავიჯერებ.

— გლეხის რომ არის და გაუნათლებელი, იმიზა იტყვის უარს. აბა განათლებული თუ იყოს, ნეფის ქალიც ღვთის მოწყალებათ ჩასთვლის თქვენისთანა ანგელოზს.

— რავაც გინდა, ისე თქვი, ისე ამიღელდა სისხლი, რომ ის ქალი უნდა დამნებდეს, ის ქალი, სხვაი-კი არა, ის! ძალით, თუ ნებით, უნდა მოახერხო, თუ ჩემი თავი გინდა, უნდა მოახერხო.

ფეფიკო დაფიქრდა და შემდეგ უთხრა:—კაი, ბატონო, თავს გადავდობ და ან ნებით, ან ძალით რამეს გავხთები.

— ასე, ჩემო ფეფიკო, და მე ვიცი შენი პატივცემა.

— ვეცთები—უთხრა ფეფიკომ და წავიდა შინ.

ე. ნინოშვილი.

(შემდეგი იქნება)

ძმები, ან სხვა ნათესავები ჰყავს, იმათაც თავზედ შემოახვევენ, ჩვენ შენ გაგზარდეთ და ახლა შენ ესენი გაზარდეო. საბრალო ახალგაზდა სულის მობრუნებასაც-კი ვეღარ ასწრობს, იძულებულია სამსახურში შერგოს თავი და მშვიდობით, ყმაწვილის წმინდა ოცნებავ!

დამეთანხმებით, რომ ძნელია ამ ახალგაზდას უსაყვედუროს კაცმა, საზოგადო საქმეს თავს რად ანებებ და მარტო კუჭისთვის ჰზრუნავო. პირიქით, იმას აქვს სასაყვედურო, რომ ჩვენში ერთი იმისთანა წრე, იმისთანა საზოგადოება, იმისთანა დაწესებულება არ არსებობს, სადაც ახალ ჩამოსულმა ახალგაზდამ, თუ ნივთიერი არა, ზნეობრივი დახმარება მაინც მიიღოს. მხოლოდ გენიოსს შეუძლიან მარტო თავის ძალ-ღონით შეებრძოლოს გარემო ვითარებას და გამარჯვებული დარჩეს, თუმცა ბუნებურს დაბრკოლებათა წინააღმდეგ გენიოსიც ვერაფერს გააწყობს. რუსეთის ზამთარმა ნაპოლეონ I-ის სამაგალითო დიდება ერთს წუთს გააქარწყლა და იმისი ძლიერება საუკუნოდ დაამხო. რა გასაკვირველია, რომ იმავე ზამთარმა, შეერთებულმა სხვა დამაბრკოლებელ მიზეზებთან, ჩვენს ილოჯ-გაწყვეტილს ახალგაზდას სძლიოს და, თუ აქვე რუსეთშივე არ მოუღო ბოლო, სრულიად ძალაგამოლეული არ გაისტუმროს სამშობლოში, სადაც კიდევ იმდენი გაჭირვება მოელის და დახმარება-კი არავითარი!..

მე მგონია, მკითხველი მიხვდებოდა, რის თქმაც მინდოდა და დამეთანხმება, რომ ჩვენს მწერლებს არ შეუძლიანთ სთქვან, ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთო. ჩვენი მწერლები მაშინ გააკეთებდნენ თავის საქმეს, როცა თავის მაგიერებს გაუზრდიდნენ მამულს, როცა ჰნახავდნენ, რომ მათგან დაწყებული საქმე მომავალ თაობისაგან ღირსეულად წარიმართება. მანამდის-კი მოვალენი იყვნენ, თუნდ თავიანთ ინტერესების წინააღმდეგ, არ გაჩუმებულიყვნენ, არ შეეწყვიტათ დაწყებული მუშაობა, სათავეში სდგომოდნენ ჩვენს ცხოვრებას და მაღლა სჭეროდათ ქართულის ლიტერატურის დროშა, რომელიც მხოლოდ ღირსეულთათვის უნდა გადაეცათ. დიაღ, ქართული მწერლობა მოვალე იყო და არის, იზრუნოს საზოგადოების ხელმძღვანელობისა და აღზრდისათვის, ახალგაზდობის მომზადებისათვის...

დასასრულ, ვისურვებ, რომ ამ „საერთო სიჩუმეს“ ბოლო მოჰღებოდეს და ჩვენს მწერლებს ხელახლავ დაეწყოთ შეერთებულის ძალით ჩვენს მწერლობაში მოღვაწეობა, რომ, თუ ეხლანდელი თაობა არა, მომავალი თაობა მაინც მომზადებული და გამხნევებული გამოსულიყოს ცხოვრების ასპარეზზედ...

ღ. ხ.

14 დეკემბერი 1891 წ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „Кавказъ“-ის მე-24 ნომერში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ბ-ნის ნ. ტოკარსკისა ჩვენის რკინის გზის სამგზავრო ტარიფის შესახებ. ამ წერილიდამ სჩანს, რომ ამ გზაზე მეტად დიდი ფასებია დაწესებული მგზავრთათვის, ბევრად დიდი, ვიდრე რუსეთის სხვა რომელსამე რკინის გზაზე.

რუსეთის რკინის გზებზე დაწესებული ფასები რომ იყოს ჩვენშიაცაო, ამბობს ავტორი წერილისა, აი რა დაჯდება წასვლა-მოსვლა ბაქოდამ ბათუმამდე:

პირველის კლასით 31 მან. 65 კაპ.
მეორეთი — — 23 მან. 63 კაპ.
მესამეთი — — 12 მან. 12 კაპ.

დღეს-კი იღებენ:

პირველს კლასში — 47 მან. 43 კაპ.
მეორეში — — 35 მან. 56 კაპ.
მესამეში — — 18 მან. 18 კაპ.

როგორც ჰხედავთ, დიდი გარჩევაა ესრედ-წოდებულს ნორმალურს ტარიფსა და ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტარიფს შორის.

რა არის ამისი მიზეზი? თუ იტყვიან, რომ ძვირად დაჯდა გაკეთება ამ გზისაო, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ბევრად უფრო ძვირად დაჯდა რუსეთის ზოგიერთი გზა, მაგრამ იქ-კი არსად ამოდენა ფასს არ ახდევინებენ მგზავრს. ფოთიდამ-ტფილისამდე თითო ვერსი დაჯდა 98 ათასი მანათი ოქროთი. ნიკოლოზის რკინის გზაზედ-კი მოსკოვსა და პეტერბურგს შორის თითო ვერსი დაჯდა 130 ათასი მანეთი.

თუ-კი ამიერ-კასპიის სამხედრო რკინის გზა, რომელიც მეტის-მეტად განსაკუთრებულ ვითარებაში იქმნა გაკეთებული, სჯერდება იმ ფასს, რაც რუსეთშია დაწესებული, თუ-კი ამიერ-კასპიის მგზავრნი იხდიან იმდენსავე, რასაც იხდიან ყველგან შიდა რუსეთში, ამ კავკასიის ხალხმა რაღა დააშავა, რომ იმას მანათის მაგიერ მანათ-ნახევარს ახდევინებენ. სხვა არა იყოს-რა, საწყენია, რომ ჩვენ, კავკასიელნი, ასე დავკიწყებივართ იმათ, ვისიც ჯერ არს ზრუნვა ამ საგნისათვის.

ავტორი ამტკიცებს, რომ არავითარი საბუთი და საფუძველი არ არსებობს ასეთის დიდის ფასის გადახდევინებისათვის მისვლა-მოსვლაში ჩვენს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზეო და შემდეგ განაგრძობს:

და აი, როდესაც რუსეთში იმ სჯასა და ზრუნვაში არიან, რომ მეოთხე კლასი დააწესონ მუშა ხალხისათვის, დაუკლონ ფასი იმათ, ვინც პირდაპირ აიღებს ბილეთს ერთის ქალაქიდამ მეორე შორეულ ქალაქამდე და სხვ. და სხვ., სწორედ ამ დროს ამიერ კავკასიის მკვიდრთათვის არა თუ არასა ზრუნავენ ამისთანას, არამედ ისიც-კი დავიწყებიათ, რომ დღევანდელს ერთნახევრად მეტს ფასს დაუკლონ რამე.

ვერაფერი სამართალია, სწორედ მოგახსენოთ, ის გარემოება, რომ ყველაზე საშიშიც ჩვენი რკინის გზა ყოფილა, როგორც შეურყეველის საბუთებით დაამტკიცა გაზ. „Нов. Обоз.“-ეს საუცხოვო წერილმა—„По поводу желѣзнодорожной катастрофы“ და ამასთანავე ყველაზე ძვირადაც სწორედ ამ გზაზე სიარული ღირს თურმე, როგორც ესა სჩანს ბ-ნ ტოკარსკის ზემოხსენებულ წერილიდამ. დიდი ფასიც იხადე მისვლა-მოსვლაში და დიდს მიშშიაც იყავიო, რადგან ყოველს მესამე დღეს აუცილებელია ან ფეხი არავინ არ მოიტეხოს, ან სიცოცხლეს არ გამოეთხოვოს, ან სანთლივით არ დაიწვას ჩვენს რკინის გზაზეო!

## დეპეშა

25 იანვარი

**მოსკოვი**. 1 თებერვლიდგან აქ იმართება სათეატრო სააგენტო დასების შესადგენად, სცენების მოსაწყობად შეკვეთისამებრ და სხვა სათეატრო საქმეთათვის.

**ორიოლი**. ხვალ ბელობერაჟნაიას უდაბნოს მახლობლად დაიწყებენ საზოგადო სამუშაოს გამგეობით თავად სოლნცევ-ზასეკინისა და ინჟენერ ფელგინისა.

**ყაზანი**. რომ ქალაქში გადამდები სენი არ შემოვიდეს საცდელად კორდონია დაწესებული.

**ბერლინი** რეისტაგის შემდეგს სესსიას წარუდგენენ კანონ-პროექტს, რომელიც შეეხება სიბერის დროს უზრუნველ საყოფელად დაზღვევის გავრცელებას. უბედურ შემთხვევათაგან სიცოცხლის დაზღვევის კანონს განკარგება სჭირია.

26 იანვარი

**პეტერბურგი**. 21—24 იანვარს განსაკუთრებულმა კომიტეტმა მიიღო 39,000 მანათამდე შეწირულება; აქედგან 5000 მანათი ხარიტონენკომ შესწირა,

„Петербургскія Вѣдомости“-ს გაუგონია, სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა დებულება ყანებისა და სათიბების დაცვისა გაძოვებისაგანაო.

**ტამბოვი**. გამოაცხადეს, რომ აღკრძალულ იქმნა ერთის მაზრიდგან მეორეში ჭინახულის წაღებაო.

**მოსკოვი**. გუშინ შეეცის პრინცი ბრესტის გზით დრეზდენს გაემგზავრა, სადაც სამშაბათს მივა. ხუთშაბათსა და პარასკევს პრინცი ბერლინში დაჰყოფს. რკინის გზის სადგურამდე პრინცი გააცილეს: გენერალ-გუბერნატორმა და სხვა წარჩინებულებმა. ჯარის უფროსს პრინცმა უბოძა თავისი სურათი და ორდენი „ოლაფისა“ პირველის ხარისხისა.

**მადრიდი**. ოთხს ანარხისტს, რომელნიც ხერესში მომხდარს არეულობაში იღებდნენ მონაწილეობას, სიკვდილით დასჯა მიესაჯათ.

**პარიჟი**. რადგანაც „Ecole Centrale“-ში, საიდამაც სამოქალაქო ინჟენერები გამოდიან, სტუდენტებმა უწესოება მოახდინეს, ამიტომ ეს დაწესებულება დროებით დაიკეტა.

**ლონდონი**. „Pall Mall Gazette“ იუწყება, ინგლისში შეკრებილი ფული დამშეულ რუსთა სასარგებლოდ 14 ათას გირვანქა სტერლინგს აღემატებაო. პარლამენტის წევრმა ბრუნნერმა 500 გირვანქა სტერლინგი შესწირა.

**კონსტანტინოპოლი**. ოთხშაბათს საფრანგეთის დესპანს კამკონს პორტამ ჩააბარა პასუხი საფრანგეთ-ბოლგარიას შორის მომხდარ უთანხმოების ნოტასი. პორტა აცხადებს, იმ პრინციპს, რომელსაც ბოლგარიის ნოტა იცავს, ჩვენც ვემხრობითო.

27 იანვარი

**პეტერბურგი**. საუფლისწულო მამულთა უწყება ნიჟეგოროდის ზოგს მაზრაში სასადილოებს ჰმართავს.

„Новое Время“-ს სასურველად მიაჩნია, რომ ზოგიერთთა მაგალითისამებრ კეთილმა კაცებმა მოუსავლიან გუბერნიებში მიიწვიონ გამოსაკვებად გაჭირვებულნი, რომელთაც შეეძლებათ საქმეშიაც დაეხმარნენ, და რომ ამ გვარის ღონით დახმარება უფრო გავრცელდეს „წითელის ჯვრის“ დაწესებულებათა შემწეობით.

**სიმბირსკი**. საუფლისწულო მამულთა უწყებამ 52 სოფელში სასადილოები გამართა. სადაც მომეტებულ ნაწილად გაჭირვებულს ყმაწვილებს, მოხუცებულებსა და ავადმყოფებს სველი საჭმელი ეძლევათ.

**ნიუ-იორკი**. გუშინ, ღამის 3 საათზე, აქაურს „Hotel Royal“-ს ცეცხლი გაუჩნდა და საშინელის სისწრაფით მოედო მთელს შენობას. გაილვიძა სხვაგნიდამ მოსულმა და ამ სასტუმროში ჩამომხდარმა ხალხმა და ერთი არეულობა შეექმნა; გადარეულები ზოგნი საცვლებს იფარებდნენ და ფანჯრებიდგან ცვივოდნენ, იქნება გადავრჩეო. მსხვერპლად ამ ცეცხლისა, რომელმაც მთელი შენობა დაანაცრა, ასამდე კაცი შეიქმნა, დაშავებულთა გარდა.

პეტერბურგის ბირჟა, 24 იანვარი

| | მყიდველი. | | გამყიდველი. | | გარიგებული. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, | 13 | 8, | 16 | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 162½ | | 163 | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1, | 17 | 1, | 19 | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | ,, | — | ,, | 236½ | |
| —მეორისა . . . . | — | ,, | — | ,, | 226½ | |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . , . | — | ,, | — | ,, | 199 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 6% . . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 5½% . . . . . | 102¼ | | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102¼ | | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა 5% . . . | 98¾ | | — | ,, | — | ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალი განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.
„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.
განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე; მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით, დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.


## განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## საუნჯე

მეათე საუნჯისა

წერილი
მოსე ჯანაშვილისა

იოანე ტბელის ეპისკოპოსის სურათით
და მეათე საუნჯის ნიმუშებით.

ფასი ერთი აბაზი
(10—0—10)